

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2017 წლის მე-2 (რიგგარეშე) მოწვევის სხდომის

დღის წესრიგი:

13 იანვარი, 2017 წელი

1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ფოთში, 26 მაისის ქუჩა #7-ში მდებარე შენობის მეორე სართულზე არსებული 536.67 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.08.241.01.509) 56.44 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, აუქციონის გარეშე გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ.
/მომხს: ირაკლი კაკულია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი/
/თანამომხს:სამსონ კუტალია - ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე/
2. „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის სესხის აღების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის #24/83 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
/მომხს: ირაკლი კაკულია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი/
/თანამომხს: პაატა ჩაგანავა - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე/
3. “თვითმმართველი ქალაქის-ფოთის (თვითმმართველი ერთეულის) მიერ დაფუძნებული და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირების მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ზედა ზღვრის განსაზღვრის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის-ფოთის საკრებულოს 2012 წლის 26 დეკემბრის #27/141 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.
/მომხს: ლევან ჩოჩია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი,
მერის მოვალეობის შემსრულებელი/
/თანამომხს: პაატა ჩაგანავა - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე/
4. „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, ოდენობის განსაზღვრის, შესაბამისი ინსტრუქციის და ქვითრის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 ივლისის #18/24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
/მომხს: ირაკლი კაკულია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი/
/თანამომხს: პაატა ჩაგანავა - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე/

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი,
თავმჯდომარის მოადგილე

აკაკი დარჯანია